სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

2019-2020 წლებში მიღწეული პროგრესი და 2021 წლის განვითარების გეგმა

შესავალი

თანამედროვე განათლების სისტემის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალგაზრდა თაობისთვის პოზიტიური, უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფა და განმტკიცება. სწორედ ამ მიზნით, 2010 წელს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური“.

მანდატურის სამსახური დღეს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის განუყოფელი ნაწილია და მისი მთავარი ფუნქციაა, უზრუნველყოს ისეთი გარემო, რომელიც ეფუძნება პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური საჭიროებები და დაცულია სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სუბიექტის უფლებები.

მანდატურის სამსახურის ამოცანაა, იყოს უფრო მეტად ზრუნვაზე და პრევენციაზე ორიენტირებული ინსტიტუტი, რომელიც ეფექტურად გაუმკლავდება სასკოლო გარემოს გამოწვევებს უსაფრთხოებისა და რისკების მართვის კუთხით. ამ მიზნის მისაღწევად, მანდატურის სამსახურმა შეიმუშავა და დანერგა თვისობრივად განსხვავებული მიდგომები და დაიწყო მნიშვნელოვანი, სისტემური რეფორმირების პროცესი.

2019-2020 წლებში განხორციელებული რეფორმები და მიღწეული შედეგები

2019-2020 წლებში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა, სკოლებში უსაფრთხო და ზრუნვაზე ორიენტირებული გარემოს ხელშეწყობისა და განმტკიცების მიზნით, მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. განხორციელდა როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოსოციალური უსაფრთხოების კომპონენტების გაძლიერება. სწორედ აღნიშნული მექანიზმებით მანდატურის სამსახური წარმოადგენს ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების საუკეთესო საშუალებას.

2019 წლიდან, მანდატურის სამსახურმა დაიწყო ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის რეფორმირება და მუშაობის ახალ უნიფიცირებულ მოდელზე გადასვლა. სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა მომსახურების გაწევის ერთიანი მიდგომები, კერძოდ, შეიქმნა ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევის წესი და სტანდარტი. ცენტრის ისტორიაში პირველად, შემუშავდა სუპერვიზიის კონცეფცია და დაიწყო მისი განხორციელება როგორც ფსიქოლოგებისათვის, ასევე სოციალური მუშაკებისათვის. ამოქმედდა მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის პრინციპები, რომელიც ემყარება შემთხვევის შესწავლას, პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას ფსიქოსოციალურ ჭრილში. ცენტრის (და/ან მის გარეთ) სხვადასხვა სპეციალისტს შორის ეფექტური, კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბენეფიციარებისთვის ეფექტიანი მომსახურების გაწევას. ამასთან, UNICEF-ის მხარდაჭერით, 2020 წელს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა შეიმუშავა მომსახურების ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები გაწეული მომსახურების შედეგის შეფასების მიზნით. ინსტრუმენტის დანერგვის პროცესი გარე სუპერვიზიის მხარდაჭერით ხორციელდება.

UNICEF-ის მხარდაჭერით, მანდატურის სამსახურისთვის, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა მოსწავლეთა ქცევის აღწერის ფორმისა და მოზარდთა თვითანგარიშის შეფასების ინსტრუმენტების (აშენბახი) ვალიდაცია.

2019 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ძალისხმევით, ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა ფსიქიატრიული მომსახურების 2 ცენტრთან,

რომლებიც დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციარებს მომსახურებას უსასყიდლოდ და ურიგოდ გაუწევენ.

რეფერირების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, მანდატურის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან. დანერგვის პროცესშია ისეთი პრაქტიკა, როდესაც კონკრეტულ, რთულ შემთხვევებთან დაკავშირებით, შესაბამისი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი იკრიბება, ხდება საკითხის ერთობლივი განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და შეთანხმებული რეაგირება.

მანდატურის სამსახურმა შექმნა კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომელიც გადაუდებელი შემთხვევის დროს, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ადგილზევე ეცნობა არსებულ სიტუაციას და ატარებს ყველა საჭირო ღონისძიებას ბავშვებთან და მოზარდებთან როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. გუნდი, საჭიროებისამებრ, მუშაობს მოსწავლეთა მშობლებთან და პედაგოგიურ კოლექტივთან. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს ბავშვებსა და მოზარდებში გრძელვადიანი ფსიქოლოგიური ტრავმის ჩამოყალიბების რისკს. კრიზისული ინტერვენციის ჯგუფის ოპერირების მექანიზმის გაძლიერების კუთხით, მომზადდა კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების წესი და პროტოკოლი; შემუშავდა ჯგუფური ტრავმის მართვის, ასევე, რთული ქცევების იდენტიფიკაციისა და მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრის მოდულები.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, მანდატურის სამსახურმა, საუკეთესო დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით და ევროპელი ექსპერტების აქტიური კონსულტაციების საფუძველზე, დაიწყო საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის მოდელის შექმნა. შემუშავდა საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის კონცეფცია და მომსახურების სტანდარტები. 2019 წელს ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრს შეეცვალა სახელწოდება და გახდა „ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი“.

2019 წელს ფსიქოსოციალური მომსახურების კიდევ 2 ცენტრი გაიხსნა - სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. საერთო ჯამში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 2021 წლისთვის, ფუნქციონირებს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების 10 ცენტრი.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სერვისები არის უფასო. ცენტრში ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი. ნებისმიერ მოსწავლეს, მშობელსა და საგანამანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს, მიმართოს ცენტრს და მიიღოს სრულფასოვანი, მაღალკვალიფიციური ფსიქოსოციალური მომსახურება.

უსაფრთხოების, პატივისცემის და ემოციური მხარდაჭერის კლიმატი სკოლაში მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობას. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მთავარი მიზანია, სკოლებში უზრუნველყოს და განამტკიცოს ისეთი გარემო, სადაც ურთიერთპატივისცემა და ღირსება არის მთავარი ფასეულობა, სადაც მოსწავლეები ავითარებენ პრობლემებზე ღიად საუბრის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის გადაჭრა მოხდეს მის გამწვავებამდე. შესაბამისად, 2019 წლის დასაწყისში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა შეიმუშავა ძალადობისა და ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის გრძელვადიანი თანმიმდევრული პროგრამა.

პირველ ეტაპზე, პროგრამის განხორციელება დაიწყო საპილოტედ, საქართველოს 11 საჯარო სკოლაში. საპილოტე პროგრამა მოიცავს კვლევით კომპონენტებს. პროგრამის შედეგების შეფასების შემდეგ, დაიწყება მისი ეტაპობრივი დანერგვა სხვა სკოლებში.

საპილოტე პროექტი მიზნად ისახავს სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებას და მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროგრამა მოიცავს ბულინგის, კიბერბულინგის, ტექნოდამოკიდებულების და მოსწავლეებში ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის საკითხებს, ასევე, თანასწორგანმანათლებლობის სისტემის დანერგვას, სასკოლო ცხოვრებაში თანაბარი შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფას ყველა ბავშვისთვის, საკლასო გარემოს მართვის უნარ-ჩვევების გაძლიერებას და კრიზისული სიტუაციების მართვაზე ორიენტირებულ მუშაობას.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სამუშაო პრაქტიკა, აქამდე, ძირითადად, ორიენტირებული იყო თერაპიული მომსახურების მიწოდებაზე და სკოლებში ნაკლებად ხორციელდებოდა ინტერვენციები. აქედან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს უწყვეტი თანამონაწილეობითი პროცესები საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა რგოლის ჩართულობით.

საპილოტე პროექტის მიმდინარეობისას, სასკოლო კლიმატის გაჯანსაღების მიზნით, განხორციელდა სკოლის ძლიერი და გასაძლიერებელი მხარეების იდენტიფიკაცია. მომზადდა ძალადობის (მათ შორის, ბულინგის, კიბერბულინგის) და სარისკო ქცევების იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მოდული. შემუშავდა თანასწორგანმანათლებელთა სახელმძღვანელო ბულინგის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის; ასევე, ბულინგის პრევენციისა და მასზე რეაგირების წესები და ფასეულობები. დაიწყო დისციპლინირების ეფექტიანი ზომების დანერგვაზე მუშაობა. მომზადდა მოსწავლის სოციალური მოწყვლადობის იდენტიფიცირების ინსტრუმენტი.

ცნობიერების ამაღლების მიზნით, ბავშვებისათვის, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის დამზადდა საინფორმაციო-შემეცნებითი ვიდეორგოლები, მათ შორის, ბულინგის, მხარდაჭერის მნიშვნელობის, მოსწავლეებში გაჯეტდამოკიდებულების, მშობლებსა და პედაგოგებს შორის ეფექტური კომუნიკაციის და სხვა აქტუალურ თემებზე.

საპილოტე პროექტზე მუშაობისას, მანდატურის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF), ევროკავშირის პროექტთან „ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (EU ACT)“, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women), ფონდთან - „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“, ორგანიზაცია „ბემონთან“ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრებთან.

2019 წლიდან, მანდატურის სამსახურმა დაიწყო ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის პროგრამის განხორციელება. ევროკავშირის პროექტთან - „ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (EU ACT)“, ორგანიზაცია „ბემონთან“ მჭიდრო თანამშრომლობით და ევროპელი ექსპერტების აქტიური ჩართულობით, მომზადდა ნარკოპრევენციის პროგრამა და მოდულები 13 წლამდე (ყოვლისმომცველი სოციალური გავლენის მეთოდი) და 13 წელს ზემოთ ასაკის მოსწავლეთათვის.

2019-2020 წლებში მანდატურის სამსახურმა, ევროპელ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და ევროკავშირის მხარდაჭერით, შეიმუშავა სასკოლო მედიაციის კონცეფცია, რომლის მიზანია, ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა. სასკოლო მედიაცია არის სრულიად ახლებური მიდგომა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და წარმატებული დასავლური პრაქტიკა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, საგანმანათლებლო სივრცეში პირველად, შეიქმნა სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს პრევენციისა და რეაგირების დოკუმენტი: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული იყო სხვადასხვა უწყება და არასამთავრობო ორგანიზაცია. 2019 წლის 29 იანვარს, აღნიშნული დოკუმენტი, სამართლებრივი აქტის სახით, დამტკიცდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ზოგადსაგანანმანათლებლო სისტემაში შემავალი ყველა სუბიექტის ფუნქციები, ასევე სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს პრევენციისა და რეაგირების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს კოორდინირებული მუშაობის და თანამშრომლობისთვის შესაბამისი ფორმატების შექმნის საუკეთესო შესაძლებლობას.

2019 წლამდე, მანდატურის სამსახური წარმოდგენილი იყო, ქვეყნის მასშტაბით, 458 საჯარო სკოლაში. 2019-2020 წლებში[1], მანდატურის სამსახური დამატებით შევიდა საქართველოს რეგიონების 147 და თბილისის 2 საჯარო სკოლაში (ჯამში, ქვეყნის მასშტაბით, სულ - 607 საჯარო სკოლა).

[1] შენიშვნა: გაფართოების გეგმის თანახმად, 2020 წელს მანდატურის სამსახური დამატებით უნდა შესულიყო 130 ახალ სკოლაში, თუმცა გაფართოების პროცესი, Covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო, შეფერხდა.

იმ სკოლებში, სადაც მანდატურის სამსახურის წარმოდგენილი არ არის, უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ სკოლების მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები. მანდატურის სამსახურის მიერ, ყველა უფლებამოსილი პირი სპეციალურად შექმნილი ტრენინგ-მოდულით გადამზადდა და მეტალოდეტექტორით აღიჭურვა.

საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე, ასევე, სკოლისა და მანდატურის კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა მრჩეველთა საბჭოები. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირება და დეტალური ანალიზი, მათი დაძლევის მექანიზმების შემუშავება და რეკომენდაციების გაცემა. ამასთან, ხორციელდება აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

2019-2020 წლებში, შემუშავდა და დამტკიცდა მანდატურის სამსახურის მარეგულირებელი აქტები, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მანდატურების როტაციისა და განაწილების წესი და კრიტერიუმები. მომზადდა სამსახურში სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეაგირების მექანიზმი.

ჩამოყალიბდა ახალი სტუქტურული ერთეულები, მათ შორის, შეიქმნა მანდატურის სამსახურის 8 რეგიონული ცენტრი: თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის ცენტრი; კახეთის ცენტრი; ქვემო ქართლის ცენტრი; შიდა ქართლის ცენტრი; სამცხე-ჯავახეთის ცენტრი; იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ცენტრი; აჭარისა და გურიის ცენტრი; სამეგრელოსა და ზემო სვანეთის ცენტრი.

2020 წლიდან, მანდატურის სამსახური ახალ ელექტრონულ პროგრამაში ჩაერთო. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის კუთხით გამოვლენილ დარღვევებს განახლებულ საინფორმაციო ელექტრონულ პროგრამაში - erofficers.emis.ge აღრიცხავენ. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მშობლების, სკოლის ადმინისტრაციის, მანდატურებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლების მაღალ ჩართულობას სასკოლო პროცესებში. პროგრამის მეშვეობით, მოსწავლეთა მიერ ჩადენილი დარღვევების და მათ მიმართ ჩატარებული უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ ინფორმაცია მშობლებს ელექტრონული ფორმით ეცნობებათ.

მანდატურის სამსახურის ამოცანაა, ჰყავდეს მაქსიმალურად კვალიფიციური, მომზადებული, მოტივირებული კადრები, რომლებიც წარმატებით გაუმკლავდებიან მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით არსებულ ნებისმიერ გამოწვევას. ამ მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, მანდატურობის კანდიდატების მოსამზადებელი კურსის ხანგრძლივობა 3 კვირიდან 2 თვემდე გაიზარდა; გაფართოვდა კურსის თემატიკა. განახლებული მოსამზადებელი კურსების ფარგლებში, მანდატურობის კანდიდატები სწავლობენ ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, ბავშვისა და მოზარდის განვითარების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, კონფლიქტების მართვას, მოზარდებში ანტისოციალური ქცევის იდენტიფიცირებასა და მასზე რეაგირებას, ბულინგისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან კომუნიკაციის უნარებს, ასევე, გადიან ფიზიკურ მომზადებას, ეუფლებიან დაზარალებულისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის უნარებს და ეცნობიან სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალურ ინსტრუქტაჟს.

შსს-ს აკადემიასთან თანამშრომლობით, გადამზადების სპეციალური მოდული შეიქმნა მოქმედი მანდატურებისთვისაც, რომლებსაც არ გაუვლიათ შსს-ს აკადემიის მოსამზადებელი კურსის განახლებული მოდული. ელექტრონული სატრენინგო პორტალის მეშვეობით, 2019-2020 წლებში, გადამზადდა 730 მოქმედი მანდატური.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ყველა მანდატური გადამზადდა კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირების კომპონენტში - ,,მოზარდთა ანტისოციალური ქცევა და სუბკულტურა". ტრენერებად მომზადდნენ მანდატურის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალში ახლადდანიშნულ მანდატურთა ცნობიერების ამაღლებას აღნიშნულ თემაზე.

ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში, მანდატურის სამსახურისთვის შეიქმნა ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამა. აღნიშნული პროგრამით, 2020 წელს, მანდატურის სამსახურის 20 თანამშრომელი ტრენერად მომზადდა. ისინი სკოლებში საინფორმაციო შეხვედრებს გამართავენ და თავიანთ კოლეგებს გადაამზადებენ. 2019-2020 წლებში, მანდატურის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ თანასწორობის კვირეულში „მე ვირჩევ თანასწორობას“. კვირეულის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს მანდატურებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან თანასწორობის, ბულინგისა და ადამიანის უფლებების თემებზე.

2020 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურსა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი, არასრულწლოვანთა უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

მემორანდუმის თანახმად, მანდატურის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოსული შეტყობინებების/განცხადებების განხილვის ფარგლებში არასრულწლოვანთან გასაუბრების პროცესში, ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებში არასრულწლოვნის მონაწილეობის შემთხვევაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგის მონაწილეობას უზრუნველყოფს.

თავის მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მაღალი სტანდარტის დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის გაწევისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერისთვის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიმართავს.

მანდატურის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ბულინგისა და ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც, მართლწესრიგის ოფიცრების, მანდატურებისა და ფსიქოლოგების ჩართულობით, სკოლის მოსწავლეებთან არაერთი შეხვედრა გაიმართა. მანდატურის სამსახური შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ არასრულწლოვანთა ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ გამართულ საინფორმაციო კამპანიას „ნუ წაართმევ ბავშვობას“. მანდატურის

სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ შეხვედრებში. მათ მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია ადრეული ქორწინების ნეგატიური გავლენის, რისკებისა და საფრთხეების შესახებ.

Covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, სკოლების დისტანციურ სწავლაზე გადასვლის შემდეგ, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა საჯარო სკოლების მოსწავლეების, მათი მშობლებისა და პედაგოგებისთვის დისტანციური აქტივობების განხორციელება სხვადასხვა ინტერნეტ-საკომუნიკაციო არხის გამოყენებით განაგრძო. სპეციალურად გადამზადებულმა მანდატურებმა კი, მოქალაქეების ინფორმირებისა და დახმარების მიზნით, მუშაობა დაიწყეს მთავრობის ცხელ ხაზზე - „144“. 2020 წლის განმავლობაში, მანდატურები, შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ასევე უზრუნველყოფდნენ უსაფრთხოებას საკარანტინო ზონების გარე პერიმეტრზე.

2021 წლის განვითარების გეგმა

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2021 წლის მთავარი პრიორიტეტია სკოლებში უსაფრთხო და ზრუნვაზე ორიენტირებული გარემოს ხელშეწყობა, პანდემიით განპირობებული გამოწვევების გათვალისწინებით.

სწორედ ამ მიზნით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი საპილოტე სკოლებში განაგრძობს ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის და ნივთიერებების ავადმოხმარების პრევენციის, ასევე, აღდგენითი პროცესების დანერგვის პროექტის იმპლემენტაციას. პროექტის ფარგლებში, განხორციელდება ინტერვენციული, უწყვეტი აქტივობები საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა რგოლთან.

2021 წლიდან, მანდატურის სამსახური საპილოტე სკოლებში დაიწყებს სასკოლო მედიაციის მექანიზმის დანერგვას. სასკოლო მედიაცია საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღდგენითი პროცესების, სასკოლო კონფლიქტებზე რეაგირების და მათი კონსტრუქციული გზით გადაჭრის საუკეთესო მექანიზმია. ის ახდენს საჭიროებებზე რეაგირებას, ურთიერთობების აღდგენისათვის სასკოლო რესურსის, ფასეულობებისა და პრინციპების ფორმირებას ინკლუზიური და თანამშრომლობითი მიდგომით. სასკოლო მედიაცია ინციდენტში მონაწილე და/ან სხვა პირებზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას ემსახურება, აღვივებს თანაგანცდას თანატოლებს შორის, ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გამძაფრებას.

მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაკების როლის გაზრდა, რაც გულისხმობს მოსწავლეთა, მათი მშობლებისა და პედაგოგების მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, მოსწავლეთა ეფექტიანი სოციალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას. 2021 წლიდან, მანდატურის სამსახურს, მათ შორის, რეგიონულ ცენტრებში, სოციალური მუშაკები დაემატება. პირველ ეტაპზე, კონკურსის გზით, 50 კვალიფიციური სოციალური მუშაკი შეირჩევა.

სასკოლო ჩარევა განხორციელდება სასიცოცხლო კრიზისების ინტერვენციის მიდგომის დანერგვით. ამ მიდგომის განხორციელების უფლება მანდატურის სამსახურის შვიდმა თანამშრომელმა სერთიფიცირების გზით მოიპოვა. აღნიშნული მიდგომა აღიარებულია

ამერიკისა და ევროპის სასკოლო სივრცეში და მისი მთავარი ფასეულობაა მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ პროცესების მართვა თანამონაწილეობითი პრინციპის დაცვით, სოციალური შეჭიდულობისა და ანგარიშვალდებულების შეგრძნების გაზრდით. მიდგომა მოსწავლის ქცევის პოზიტიური ცვლილების ხელშეწყობაზე, მისთვის მისივე ემოციების გააზრებაში დახმარებასა და სტრესული სიტუაციების დაძლევის მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მექანიზმის დანერგვა საპილოტე სკოლებში 2021 წლიდან დაიწყება.

ონლაინ სივრცეში ძალადობის ამოცნობის მექანიზმის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, UNICEF მხარდაჭერით, მანდატურის სამსახურმა მოამზადა გზამკვლევი მასწავლებლებისა და სოციალური მუშაკებისათვის. გზამკვლევზე დაყრდნობით, სასწავლო პროცესის უკონტაქტოდ წარმართვის მიუხედავად, შესაძლებელი გახდება, სკოლას არ გამორჩეს მოსწავლის მიმართ არსებული ან მოსალოდნელი საფრთხეები.

2021 წლიდან, დაიწყება ფსიქოსოციალური მომსახურების ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ ცენტრს მიწოდებული მომსახურების ეფექტიანობის შეფასების საშუალება მიეცემა, მიღებული შედეგები კი მტკიცებულებით წონას შეიძენს და მომსახურების გადახედვისა და დახვეწის საუკეთესო საშუალებას შექმნის.

რეფერირების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, დაიხვეწება და კიდევ უფრო გაძლიერდება თანამშრომლობის მექანიზმი საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურსა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან, ასევე, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან.

მანდატურის სამსახური დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განგრძობით განათლებას. ამ მხრივ, სამსახურის სპეციალისტების პროფესიული უნარების დახვეწისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაგეგმილია საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე მათი გადამზადება. 2021 წლის ბოლომდე, ახალი სასწავლო მოდულის მიხედვით, გადამზადდება დამატებით 350 მოქმედი მანდატური. ასევე, ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში, მანდატურები ადამიანის უფლებების თემაზე ტრენინგებს გაივლიან.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო და ევროპულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება, რაც შესაძლებელს გახდის განვითარებული ქვეყნების გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვას.

უახლოეს მომავალში, ამოქმედდება და სრული დატვირთვით ამუშავდება მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ახალი ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც ამჟამად სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს. აღნიშნული ინტერნეტ-პორტალი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ამასთან, ვებ-გვერდი მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს, ონლაინ რეჟიმში, უსასყიდლოდ და სრული კონფიდენციალურობის დაცვით, მიიღოს სასურველი და კომპეტენტური ფსიქო-სოციალური კონსულტაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისთვის მნიშვნელოვანია მუდმივი განვითარება, დასავლური სტანდარტებისა და წარმატებული მიდგომების დანერგვა, რათა მივიღოთ ეფექტიანი და ნაყოფიერი შედეგი - უსაფრთხო სკოლა.